N 45

12/02/2019

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციულ–ტერიტორიულ ერთეულებში (ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებში) საკონსულტაციო საბჭოს

სხდომის ოქმი №1

ქ. ამბროლაური **11.02.2019 წ.**

სხდომას ესწრებოდა:

საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე – არჩილ ჯაფარიძე – სახელმწიფო რწმუნებული.

საკონსულტაციო საბჭოს წევრები:

ზვიად მხეიძე - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი, ასლან საგანელიძე - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბადრი ლიპარტელიანი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი, გიორგი გაზდელიანი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ემზარ საბანაძე - ონის მუნიციპალიტეტის მერი, შუქურა ჯაფარიძე - ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბაჩანა მარკოიშვილი - ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, გიორგი გუგავა - ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, რეზო ხეცურიანი - ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

სხდომის მდივანი: სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – აპარატის უფროსი ირმა მაქარაშვილი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ

სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე-დავით ღუდუმიძე;

სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე -ლევან ქვათაძე;

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - გიორგი დონაძე;

სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე -გიორგი გონაძე;

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – ზურაბ ცაგურიშვილი;

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – ლევან ცხვედიანი;

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე – ვახტანგ ლორთქიფანიძე;

დღის წესრიგი:

1. 2018 წლის სამხედრო გაწვევის გეგმის შესრულების შესახებ ინფორმაცია და 2019 წლის გეგმა;
2. მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა;
3. ადგილობრივი მიწის აღიარების კომისიის ანალიზი, 2018 წლის ანგარიში და 2019 წლის გეგმები;
4. ააიპ-ების მდგომარეობა და ხედვები 2019 წელს;
5. 2019 წლის მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები;
6. 2018 წლის გარდამავალი პროექტები შესახებ ინფორმაცია;
7. სამოქმედო გეგმის ცვლილების შესახებ;
8. სხვადასხვა საკითხები.

საკონსულტაციო საბჭოს სხდომის თავმჯდომარე არჩილ ჯაფარიძე მიესალმა დამსწრეთ და დეტალურად მიმოიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები; მან ისაუბრა 2019 წელს დაგეგმილი პროექტების დროულად დაწყების მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ განსახორციელებელ პროექტებზე სატენდერო პირობების სწორად განსაზღვრის, ტენდერების დაგეგმვის და წარმატებით განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტებსა პოტენციურ მომწოდებლებს შორის შედგეს ტენდერის მოსამზადებელ ეტაპზე კომუნიკაცია და ინფორმაციის გაცვლა.

მოისმინეს:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტების მერებმა წარმოადგინეს ინფორმაცია მათ სამოქმედო ტერიტორიაზე სამხედრო გაწვევის გეგმის შესრულების შესახებ. გამოიკვეთა, რომ 2018 წლის გეგმა შესრულდა მხოლოდ ონის მუნიციპალიტეტში.
2. მუნიციპალიტეტების მერებმა წარმოადგინეს ინფორმაცია მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ. აღინიშნა, რომ ყველა მიმართულებაზე ტრანსპორტის გადაადგილება ხდება შეუფერხებლად. ამ ეტაპზე არცერთ მუნიციპალიტეტში ხარვეზი არ აღნიშნება. ლენტეხის მუნიციპალიტეტში დასაზუსტებელია მომსახურების ღირებულებისა და მარშრუტების რაოდენობის საკითხები.
3. მიწის აღიარების კომისიების მუშაობის ანგარიშში მერებმა ისაუბრეს ჯამურად შემოსული და მათ შორის რეაგირების გარეშე დარჩენილი განცხადებების

რაოდენობის შესახებ. ასევე ხაზი გაესვა მიწების რეგისტრაციის პროცესს საკურორტო ზონებში და განსაკუთრებით შაორის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე.

4. მუნიციპალიტეტების მერებმა წარმოადგინეს ანგარიში 2018 წლის გარდამავალი, 2019 წელს მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების შესახებ. ისაუბრეს ასევე მათ დაქვემდებარებაში მყოფი ააიპებ-ის ფუნქციონირების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. მოხდა დაცლის პირას მყოფი სოფლების იდენტიფიცირება და აქ არსებული პრობლემების განხილვა, როგორიცაა ელ. ენერგიით მომარაგება, წყლით უზრუნველყოფა და მისასვლელი გზების მდგომარეობა.
5. რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსმა ლევან ცხვედიანმა საბჭოს წარუდგინა 2019 წლის სამოქმედო გეგმაში შესატანი პროექტების ნუსხა.

საკონსულტაციო საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა:

1. ეთხოვოს მუნიციპალიტეტებს, სამხედრო გაწვევების საგაზაფხულო გეგმების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოხდეს მიზეზების გამოკვლევა და საჭიროების შემთხვევაში სამსახურის უფროსის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება.
2. გამომდინარე იქედან, რომ მიმდინარეობს შაორის წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორიის სივრცითი განვითარების, განაშენიანების გეგმის მომზადება და აღნიშნული პროექტის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია მიმდებარე ნაკვეთების კანონიერ მესაკუთრეთა დადგენა, რათა თავიდან იქნას აცილებული გაუთვალისწინებელი გართულებები, საბჭომ გადაწყვიტა, მიეცეს რეკომენდაცია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიას კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მაქსიმალურად გამჭვირვალედ მოახდინოს მიმდებარე ტერიტორიის მესაკუთრეთა საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში აღნიშნულთან დაკავშირებით მიმართოს შესაბამის ორგანოებს.
3. ეთხოვოს მუნიციპალიტეტების მერებს მოსახლეობის განცხადებების დროულად დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად მოახდინონ მიწის აღიარებითი კომისიების მუშაობის გააქტიურება.
4. ეთხოვოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერს მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების ღირებულების დაზუსტებისა და მარშრუტების ოპტიმალურად დაგეგმვის მიზნით, მომსახურების მომდევნო ეტაპზე შესყიდვამდე, მოახდინოს საკითხის შესწავლა და ხარვეზების აღმოფხვრა.

5. ეთხოვოს მუნიციპალიტეტებს წარმოადგინონ ინფორმაცია სოფლებსა და ოჯახებზე, სადაც არ მიეწოდებათ ელ. ენერგია, სასმელი წყალი ან არსებობს უგზოობის პრობლემა.
6. მოწონებულ იქნას 2019 წლის სამოქმედო გეგმაში შესატანად წარმოდგენილი ინფრასტრუქტურული პროექტები და დანართი N1 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი N1 ოქმს თან ერთვის).

ირმა მაქარაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

არჩილ ჯაფარიძე

სახელმწიფო რწმუნებული